დამტკიცებულია 2024 წლის 1 თებერვლის კრების ოქმით

დანართი #1

ქალები ღვინის ინდუსტრიაში

წესდება

ახალი რედაქციით

(სადამფუძნებლო შეთანხმების დანართი)

თბილისი

1 თებერვალი 2024 წელი

მუხლი 1

ზოგადი დებულებები

1. ქალები ღვინის ინდუსტრიაში (Women In Wine Industry -WIWI) - (შემდგომში - ასოციაცია) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
2. ასოციაციის სახელწოდება: **ქალები ღვინის ინდუსტრიაში (Women In Wine Industry -WIWI)**
3. იურიდიული მისამართი - თბილისი
4. ასოციაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი info@wiwi.ge
5. ასოციაცია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს ასოციაციის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგნელობითი უფლებამოსილების პირებს შორის დაუშვებელია.
6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.
7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 2

ასოციაციის დამფუძნებელი წევრები

ასოციაციის დამფუძნებელი წევრები არიან:

- **მანანა ახვლედიანი**
- **მაია კაციტაძე**

მუხლი 3

ასოციაციის საქმიანობის პრინციპები და მიზნები

1. ასოციაცია არის პლაცდარმი მოქმედებისთვის, ახალი არეალი ალკოჰოლური სასმელების ინდუსტრიაში;
2. ასოციაცია საშუალებას მისცემს მის წევრებს გამოკვეთონ თავიანთი ინდივიდუალურობა და გააძლიერონ თავიანთი როლი ასოციაციაში.
3. ასოციაცია ითანამშრომლებს სხვა დარგის მეწარმე ქალბატონებთან, ბიზნესის და პროფესიული განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.
4. ასოციაციის მიზანია, დადებითი წვლილი შეიტანოს ალკოჰოლური სასმელების ინდუსტრიის განვითარებაში.
5. ასოციაცია მხარს დაუჭერს და წაახალისებს ახალგზრდა მეღვინე ქალებს.
6. ასოციაცია დააწესებს სტიპენდიებსა და ჯილდოებს, ალკოჰოლური სასმელების ინდუსტრიაში ქალების წახალისების მიზნით.
7. ასოციაცია უზრუნველყოფს ქალის მეღვინეების განათლების ხელწყობის მიზნით რესურსების მოძიებას.
8. ასოციაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, ქალების როლის გაძლიერება ალკოჰოლური სასმელების ინდუსტრიის განვითარების საქმეში.
9. ასოციაციის მიზანია, ღვინის წარმოების პოპულარიზაცია, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ქალ მეწარმეებზე მაღალმთიან რეგიონებში;
10. Investment-IFC 'იმფაქთ ინვესთმენთ' მიმართულების განვითარება საქართველოში;
11. ასოციაციის მიზანია სამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა და მათი კონსტრუქციული ჩართულობის უზრუნველყოფა;
12. ქალ მეწარმეთა ადვოკატირების და სამეწარმეო პოლიტიკასთან დაკავშირებული პროგრამების ინიცირება და განვითარება.
13. გენდერული თანასწორობისა და მეწარმეთა უფლებების პოპულარიზაცია და მეწარმეთა მხარდაჭერა;

მუხლი 4

ასოციაციის წევრობა

1. ასოციაციის წევრი შეიძლება გახდეს 18 წელს მიღწეული საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც იზიარებს ასოციაციის საქმიანობის მიზნებსა და პრინციპებს.
2. ასოციაციას შეიძლება ჰყავდეს ძირითადი და ასოცირებული წევრები.

3. ასოციაციის ორივე წევრის (ძირითადი და ასოცირებული) სტატუს ანიჭებს გამგეობა.
4. ასოციაციის ძირითადი წევრი შეიძლება გახდეს მეწარმე ქალი, რომელიც აწარმოებს ალკოჰოლურ სასმელებს და იზიარებს ასოციაციის მიზნებს.
5. ასოციაციის ასოცირებული წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზნებს და პირდაპირ თუ ირიბად ჩართულია ღვინის ინდუსტრიაში.
6. ასოციაციის წევრად მიღების და წევრის სტატუსის განსაზღვრის საკითხს წყვეტს ასოციაციის გამგეობა, მსურველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, განცხადების მიღებიდან უახლოეს სხდომაზე.
7. ასოციაციის ძირითადი წევრობის მსურველის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:
   ა) განმცხადებლის სამოტივაციო წერილი;
   ბ) ასოციაციის მოქმედი ძირითადი 2 (ორი) წევრის რეკომენდაცია;
8. ასოციაციის ასოცირებული წევრობის მსურველის განცახადებას თან უნდა ერთვოდეს:
   ა) განმცხადებლის სამოტივაციო წერილი;
   ბ) ასოციაციის მოქმედი ძირითადი ან ასოცირებული 2 (ორი) წევრის რეკომენდაცია;

მუხლი 5
ასოციაციის წევრების უფლება-მოვალეობები

1. ძირითად წევრთა უფლებები:
   ა) ძირითადი წევრი არის ასოციაციის ძირითად წევრთა საერთო კრების წევრი;
   ბ) ძირითად წევრს უფლება აქვს არჩეულ იქნას ასოციაციის გამგეობის წევრად;
   გ) ძირითად წევრს უფლება აქვს დაასახელოს საკუთარი თავი ან სხვა პირი ასოციაციის გამგეობის წევრობის კანდიდატად;
   დ) ძირითდ წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში. ამასთან, ისარგებლოს ასოციაციაში არსებული სასწავლო და ექსპერტული რესურსებით.
   ე) ძირითად წევრს უფლება აქვს დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა ასოციაციაში და ნებისმიერ დროს მიიღოს ინფორმაცია ასოციაციის საქმიანობისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.
2. ძირითად წევრთა ვალდებულებები:
   ა) ძირითადი წევრი ვალდებულია გაუფრთხილდეს და დაიცვას ასოციაციის ავტორიტეტი, სახელი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, ქონება და მის განკარგულებაში არსებული სხვა სიკეთეები;
   ბ) დადგენილ დროში გადაიხადოს გამგეობის მიერ დადგენილი საწევრო გადასახდი.
3. ასოცირებულ წევრთა უფლებები:
   ა) ასოცირებულ წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

ბ) ასოცირებულ წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ასოციაციაში გამართულ სემინარებსა და ტრენინგებში.

4. ასოცირებულ წევრთა ვალდებულბები:
   ა)ასოცირებული წევრი ვალდებულია დაიცვას ასოციაციის წესდების ვალდებულებები და გაუფრთხილდეს ასოციაციის რეპუტაციას.
   ბ) ასოცირებული წევრი ვალდებულია გაუფრთხილდეს და დაიცვას ასოციაციის ავტორიტეტი, სახელი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, ქონება და მის განკარგულებაში არსებული სხვა სიკეთეები;
   გ)დადგენილ დროში გადაიხადოს გამგეობის მიერ დადგენილი საწევრო გადასახდი.

მუხლი 6
ასოციაციის ძირითად და ასოცირებულ წევრთა უფლებამოსილების შეწყვეტა

1. ასოციაციის წევრთა (ძირითადი და ასოცირებული) უფლებამოსილება წყდება ასოციაციის გამგეობის გადაწყვეტილებით:
   ა) თუ ასოციაციის წევრის (ძირითადი და ასოცირებული) საქმიანობა ეწინააღმდეგება ასოციაციის წესდებით გაცხადებულ მიზნებს;
   ბ) თუ ასოციაციის წევრი (ძირითადი და ასოცირებული) ზიანს აყენებს ასოციაციის საქმიანობას;
   გ) თუ ასოციაციის წევრი (ძირითადი და ასოცირებული) გაფრთხილების მიუხედავად, არ იხდის გამგეობის მიერ დადგენილ საწევრო გადასახადს.
   დ) თუ ასოციაციის წევრის (ძირითადი და ასოცირებული) სტატუსის შენარჩუნება შეუძლებელია სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;
   ე) ასოციაციის წევრის (ძირითადი და ასოცირებული) განცხადების საფუძველზე;
   ვ) თუ ასოციაციის წევრი (ძირითადი და ასოცირებული) არასაპატიო მიზეზით არ მონაწილეობდა ასოციაციის საქმიანობაში ზედიზედ 6 თვის განმავლობაში;
   ზ) ასოციაციის წევრის (ძირითადი და ასოცირებული) გარდაცვალების შემთხვევაში.
2. წევრობის (ძირითადი და ასოცირებული) შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას გამგეობა იღებს შესაბამისი ინფორმაციის ან განცხადების მიღებიდან 1 თვის ვადაში.

მუხლი 7
ასოციაციის ძირითად წევრთა საერთო კრება

1. ასოციაციის მმართველობით ორგანოებს წარმოადგენს ძირითად წევრთა საერთო კრება (შემდგომში ტექსტში - საერთო კრება) და გამგეობა.
2. საერთო კრებაზე დასწრების და გადაწყვეტილებების მიღების უფლება აქვთ ასოციაციის ძირითად წევრებს.

3. საერთო კრება იკრიბება წელიწადში ერთხელ. მორიგი ან რიგგარეშე კრების მოწვევის უფლება აქვს ასოციაციის გამგეობას და არანაკლებ ასოციაციის 5 (ხუთი) ძირითად წევრს.
4. საერთო კრების უფლებამოსილებებია:
   ა) ასოციაციის გამგეობის წევრთა არჩევა/გამოწვევა;
   ბ) ასოციაციის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
   გ) ასოციაციის გამგეობის მიერ წარდგენილი ყოველწლიური ანგარიში მოსმენა;
   დ) ასოციაციის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა.
5. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, კრების მომწვევმა პირმა უნდა მოიწვიოს განმეორებითი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია მასზე დამსწრე პირების რაოდენობის მიუხედავად.
6. კრებაზე გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ განსახილველ საკითხს მხარს დაუჭერს დამსწრეთა ნახევარზე მეტი, გარდა გამგეობის წევრთა არჩევისა. გამგეობის წევრთა არჩევაზე საერთო კრების მიერ გადაწყვეტილება მიიღება ფარული კენჭისყრით, ხმათა უმრავლესობით - რაც, ნიშნავს შემდეგ წესს: გამგეობის წევრად აირჩევა კანდიდატი, რომელიც მიიღებს სხვა კანდიდატებზე მეტ ხმას.
7. საერთო კრება შეიძლება ჩატარდეს როგორც მონაწილეთა უშუალო დასწრების ფორმით, ასევე დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული ან აუდიო-ვიზუალური საშუალებების გამოყენებით.
8. კრების მოწვევის ინიციატორი (ასოციაციის გამგეობა ან ძირითად წევრთა ჯგუფი) საერთო კრების ჩატარების ადგილის, თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ ყველა ძირითად წევრს წერილობით ან ელექტრონული ფორმით აცნობებს საერთო კრებამდე 14 დღით ადრე მაინც.
9. თუ საერთო კრების სხდომას ყველა ხმის უფლების მქონე წევრი ესწრება და ისინი თანახმა არიან სხდომის ჩატარებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე, სხდომის ჩატარება შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ მისი მოწვევის კანონით ან/და ამ წესდებით დადგენილი წესები არ იქნა დაცული. თანხმობად მიიჩნევა, თუ იგი არ მოითხოვს სხდომის სხვა დროს ჩატარებას მისი მოწვევის პროცედურის დარღვევის გამო.
10. საერთო კრების მსვლელობისა და გადაწყვეტილებების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე ან მისი არყოფნის შემთხვევაში, საერთო კრებაზე არჩეული კრების თავმჯდომარე.

მუხლი 8
ასოციაციის გამგეობა

1. გამგეობა შედგება საერთო კრების მიერ 5 (ხუთი) წლის ვადით არჩეული 9 (ცხრა) წევრისგან, მათ შორის 7 (შვიდი) წევრი უნდა იყოს ასოციაციის ძირითადი წევრი, 2 (ორი) წევრი შეიძლება არ იყოს ასოციაციის წევრი. ერთი და იგივე პირი არ შეიძლება არჩეულ იქნას გამგეობის წევრად ზედიზედ ორ ვადაზე მეტჯერ.
2. საერთო კრებაზე გამგეობის წევრობის 5 (ხუთი) კანდიდატს ასახელებს ასოციაციის ძირითადი წევრები, ხოლო 4 (ოთხი) წევრს ასახელებს ასოციაციის დამფუძნებელი წევრები. ასოციაციის გამგეობის წევრად, მოწვეული პირის დასახელების უფლებას აქვს, მხოლოდ ასოციაციის დამფუძნებელ წევრებს.
3. გამგეობის წევრები თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ გამგეობის თავმჯდომარეს, გამგეობის სრული შემადგენლობის ხმათა უბრალო უმრავლესობით.
4. გამგეობის კომპეტენციას განეკუთვნება შემდეგი საკითხები:
   ა) გამგეობა დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს ასოციაციის სამოქმედო გეგმას, ფინანსურ და პროგრამულ ანგარიშებს;
   ბ) გამგეობა იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის მიერ უძრავი ქონების შეძენა/გასხვისება/უფლებრივად დატვირთვის თაობაზე;
   გ) გამგეობა იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის ძირითად და ასოცირებულ წევრთა გაწევრიანების თაობაზე;
   დ) გამგეობა იღებს გადაწყვეტილებას ასოციაციის ძირითად და ასოცირებულ წევრთა საწევრო გადასახადის დადგენისა და მისი ოდენობის განსაზღვრის თაობაზე.
   ე) გამგეობა ნიშნავს ასოციაციის დირექტორს და ათავისუფლებს მას. დებს და წყვეტს მასთან სასამსახურო ხელშეკრულებას.
   ვ) ასოციაციაში კომიტეტების შექმნა/გაუქმება და ამ კომიტეტების თავმჯდომარეების დანიშვნა;
   ზ) გამგეობა წყვეტს ყველა იმ საკითხს, რომელიც ამ წესდებით სხვა ორგანოთა კომპეტენციას არ განეკუთვნება.
5. გამგეობას ხელმძღვანელობს გამგეობის თავმჯდომარე. გამგეობის თავმჯდომარე წარმოადგენს ასოციაციას ამ მუხლის მე-4 პუნქტის ე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ურთიერთობაში.
6. გამგეობის თავმჯდომარის გადადგომის, უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან მისი უფლებამოსილების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს გამგეობის სრული შემადგენლობის ხმათა უბრალო უმრავლესობით არჩეული გამგეობის ერთ-ერთი წევრი.
7. გამგეობის მოწვევაზე და ჩატარებაზე ვრცელდება საერთო კრების მოწვევისა და ჩატარებისთვის დადგენილი წესები.
8. გამგეობა ანგარიშვალდებულია ასოციაციის საერთო კრების წინაშე.

9. გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევრაზე მეტი, ხოლო გამგეობაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უბრალო უმრავლესობით.
10. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, ახალი გამგეობის არჩევამდე.
11. გამგეობის სხდომის შემდეგ დგება ოქმი, რომელზეც აუცილებელია სხდომის თავმჯდომარის ხელმოწერა.

მუხლი 9
ასოციაციის დირექტორი

1. ასოციაციის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრება გამგეობის მიერ 3 (სამი) წლის ვადით დანიშნულ დირექტორს. ერთიდაიგივე პირი, შეიძლება ზედიზედ ორჯერ იქნეს დანიშნული ორგანიზაციის დირექტორად.
2. დირექტორი ორგანიზებას უწევს ასოციაციის საერთო კრებისა და გამგეობის მეერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას და წყვეტს ასოციაციის საქმიანობიდან გამომდინარე ყველა სხვა საკითხს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
3. დირექტორი ახორციელებს ასოციაციის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე.
4. დირექტორი ხელს აწერს ასოციაციის ოფიციალურ დოკუმენტებს, მათ შორის ფინანსური სახის დოკუმენტებს. გამოსცემს ბრძანებებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა ასოციაციის ყველა თანამშრომლისთვის. დირექტორი კოორდინაციას უწევს ასოციაციის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას.
5. დირექტორი მოქმედებს ერთპიროვნულად და მესამე პირებთან ურთიერთობაში მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არ არის შეზღუდული.
6. დირექტორი უფლებამოსილია:
   ა) გარკვეული დროით გადასცეს თავისი ზოგიერთი ფუნქციის შესრულება სხვა თანამშრომელს;
   ბ) დანიშნოს და გაათავისუფლოს ასოციაციის თანამშრომლები;
   გ) დადოს გარიგებები, გასცეს მინდობილობები;
   დ) გახსნას საბანკო ანგარიშები;
   ე) დაამტკიცოს ასოციაციის სომბოლოები;
7. დირექტორი ანგარიშვალდებულია ასოციაციის საერთო კრებისა და გამგეობის წინაშე.

მუხლი 10
ასოციაციის სამართლებრივი ფორმის შეცვლა, შერწყმა ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1. დაუშვებელია ასოციაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა. დაყოფა და გაერთიანება (შერწყმა) წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ასოციაციის ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ასოციაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, ასევე, ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგეობა.
4. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს კრედიტორთა მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს დამფუძნებლის/ საერთო კრების მიერ განსაზღვრულ ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს.
5. გადაწყვეტილება ასოციაციის ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება ასოციაციის ლიკვიდაციის დაწყების შესახებ ინფორმაციის რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
6. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს გამგეობა.
7. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება დამფუძნებლებს, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს შორის.
8. თუ გამგეობამ არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ორგანიზაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ ორგანიზაციას. თუ ასეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არ არსებობს ან შეუძლებელია მისი გამოვლენა, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.
9. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ორგანიზაციის ლიკვიდაციას ახორციელებს (ახორციელებენ) სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია ორგანიზაციის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე.

მუხლი 11
გარდამავალი დებულებები

1. ახალი საერთო კრების მოწვევამდე (გარდამავალ პერიოდში) წინამდებარე წესდების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული საკითხების შესახებ, ასევე პირის ასოციაციის წევრად მიღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ დამფუძნებელი წევრები.

მუხლი 12
დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის/წევრის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
2. თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

__მანანა ახვლედიანი_____ /_____/
(დამფუძნებლის სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

_____მაია კაციტაძე_____ /_____/
(დამფუძნებლის სახელი, გვარი) (ხელმოწერა)